შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვამტკიცებ"

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ აჭარის
ავტონომიურ რესპუბლიკაში
კახაბერ კირტავა

"25" დეკემბერი 2018 წელი
N 75/36

ეგზ: N1

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით
გათვალისწინებული პროგრამების
2017 წლის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში
(01.01.2017 – 31.12.2017)

სარჩევი

შემოკლებანი **3**
შემაჯამებელი მიმოხილვა **4**
რეკომენდაციები **6**
შესავალი **9**
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 9
აუდიტორის პასუხისმგებლობა 9
აუდიტის საგანი 10
აუდიტის მასშტაბი 10
გამოყენებული კრიტერიუმები 10
აუდიტის მიზანი 10
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტების საქმიანობის შესახებ 11
აუდიტის მიგნებები **12**
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები 12
ინფრასტრუქტურული ღონისძიებები 13
ქონების სარგებლობაში გაცემა 17
საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაცია 23
საკრებულოს წევრების ხარჯები 26
კვების პროდუქტების შესყიდვა 27
სხვა საკითხთა აბზაცი **28**
შიდა აუდიტი 28
წინა აუდიტის დროს გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირება 29
აუდიტორთა ხელმოწერა **30**

შემოკლებანი

მუნიციპალიტეტი - ქობულეთის მუნიციპალიტეტი;

მერია – ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია;

მერი – ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი;

მეთოდოლოგია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია";

კლასიფიკაცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია";

საბავშვო ბაღების გაერთიანება – ა(ა)იპ – ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. ზემოაღნიშნულ პროცესში გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები და ნაკლოვანებები, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით წარმოდგენილი პროგრამები არასათანადოდაა შედგენილი, არ მოიცავს პრიორიტეტების მიხედვით განსაზღვრული პროგრამების მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებსა და შედეგების შეფასების ინდიკატორებს. შესაბამისად, ვერ ხერხდება განხორციელებული ღონისძიების შუალედური და საბოლოო შედეგების გაზომვა და პროგრამების ეფექტიანობის შეფასება;

- მუნიციპალიტეტის მიერ გახარჯულია საბიუჯეტო სახსრები მაშინ, როცა სატენდერო პირობით გათვალისწინებული სამუშაოები არსებითად შეიცვალა, შესრულებული სამუშაოების ხარისხი არ არის შეფასებული, ფარულ სამუშაობზე არ არის დადგენილი მოცულობები, ხოლო სატრანსპორტო და დროებითი შენობა-ნაგებობისათვის გადახდილ თანხებზე არ არის წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები;

- მუნიციპალიტეტის მიერ უძრავი ქონების სარგებლობაში გაცემა შესაძლოა შეიცავდეს ჯანსაღი კონკურენციის შეზღუდვისა და კონკრეტული პირების ინტერესებზე მისადაგების რისკებს. კერძოდ, მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა, გადაწყვეტილებების მიღებისას არ შეაფასეს ელექტრონული აუქციონის ფორმით ქონების იჯარით სარგებლობაში გაცემის უპირატესობები და ქონების გაცემა განახორციელეს პირდაპირი განკარგვის წესით უკონკურენტო, გაუმჭვირვალე გარემოში. გარდა ამისა, ფიქსირდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უნებართვო სარგებლობის შემთხვევები;

- გარე განათების მომსახურებასთან დაკავშირებით, სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული განათების წერტების რაოდენობა არ შეესაბამება საბუღალტრო ჩანაწერებს; მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების სრულყოფილად შეუსრულებლობის და გაწეული მომსახურების ადგილმდებარეობის იდენტიფიცირების გარეშე მიმწოდებელზე გადახდილია თანხა; სახელმწიფო შესყიდვა განხორციელებულია უკონკურენტოდ, ერთი პრეტენდენტის პირობებში, რომელიც წინა პერიოდშიც ასრულებდა აღნიშნულ მომსახურებას;

- მუნიციპალიტეტმა საბავშვო ბაღების მშენებლობის დასრულების შემდეგ არ განახორციელა არსებული ხარვეზების დროული გამოვლენა და სათანადო რეაგირება. შედეგად, განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები უხარისხოდაა შესრულებული. ხელშეკრულებით განსაზღვრული საგარანტიო ვადების არსებობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს არ მიუმართავთ მიმწოდებლისთვის უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსწორების მოთხოვნით. აღნიშნული უფლებამოსილების საგარანტიო ვადაში გამოუყენებლობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტს მოუწევს დამატებითი ხარჯების გაწევა;

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე;

- მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში კვების პროდუქტები სათანადო ლაბორატორიული შემოწმების გარეშეა მიღებული, რაც წარმოშობს მიწოდებული საქონლის ხარისხისა და გადახდილ ფასთან შესაბამისობის რისკებს;

- მუნიციპალიტეტში შიდა აუდიტის მიერ შედგენილ აუდიტორულ დასკვნებში ასახული მიგნებების შესაბამისად, არ ხორციელდება რეკომენდაციების შესრულებაზე სათანადო რეაგირება და მონიტორინგი, რაც მუნიციპალიტეტისათვის რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1: მუნიციპალიტეტის მერიამ, საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი მართვის შეფასების მიზნით, პროგრამული ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს, პროგრამის ფარგლებში საბოლოო მიზნის მიღწევისათვის განხორციელებული აქტივობების, მიღწეული პროგრესისა და მიღებული საბოლოო შედეგის გაზომვა.

რეკომენდაცია N2: მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ დაადგინოს მიმწოდებლის მიერ შეუსრულებელი სახელშეკრულებო ვალდებულების პირობებში სამუშაოს ჩაბარების გამომწვევი მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განსაზღვრით, გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ღონისძიებები. დაადგინოს ფარული სამუშაოების ფაქტობრივად შესრულების მდგომარეობა და უზუსტობების არსებობის პირობებში, უზრუნველყოს ზედმეტად გადახდილი თანხების ბიუჯეტში დაბრუნება. ამასთანავე, შეიმუშაოს და დანერგოს ქმედითი შიდა კონტროლის მექანიზმები, რათა დროულად და სრულად გამოვლინდეს ხარვეზები და არ დაუშვას შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის დაუდასტურებლობის პირობებში, სამუშაოს მიღება-ჩაბარება და ანაზღაურება.

რეკომენდაცია N3: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოიკვლიოს ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სარგებლობაში გაცემისა და ქონების უნებართვო ექსპლუატაციის მიზეზები, მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ასევე შეიმუშაოს სათანადო კონტროლის მექანიზმები, რაც მიმართული იქნება მიწის ნაკვეთის უნებართვო ექსპლუატაციის აღსაკვეთად, ხოლო დარღვევის შემთხვევაში – უზრუნველყოს ეფექტიანი რეაგირება. ამასთანავე, შემდგომში ქონების სარგებლობაში გადაცემა მაქსიმალურად უზრუნველყოს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

რეკომენდაცია N4: მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს გარე განათების მომსახურებას დაქვემდებარებული წერტების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა და ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვა, შეიმუშაოს სტრატეგია, განათების მომსახურებაზე სათანადო კონტროლის მექანიზმების დაწესების შესახებ, დაადგინოს მომსახურების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

რეკომენდაცია N5: სამუშაოების შესყიდვისას დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მშენებლობის პროცესის სისტემატური მონიტორინგის

საშუალებით, დროულად და სრულად გამოავლენს და აღმოფხვრის ხარვეზებს, რაც მთლიანად უზრუნველყოფს პროექტის წარმატებით განხორციელებას, შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების შეუფერხებელ მიწოდებას. შესწავლილ იქნეს სამუშაოთა უხარისხოდ შესრულებისა და საგარანტიო ვადებში მათი აღმოფხვრის მოთხოვნის, ხელშეკრულებებით მინიჭებული უფლების გამოუყენებლობის ფაქტები და არაობიექტური გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი პირების მიმართ გატარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამასთანავე, შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადებში, მუნიციპალიტეტის მერიამ დაუყოვნებლივ მიმართოს შესაბამის პირებს მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსწორების მოთხოვნით.

რეკომენდაცია N6: მუნიციპალიტეტმა არ დაუშვას ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე, საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრის საქმიანობის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

რეკომენდაცია N7: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ, საბავშვო ბაღების გაერთიანებასთან ერთად, გამოიკვლიოს ხორცპროდუქტების სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში არსებული ნაკლოვანებები, განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და გაატაროს ქმედითი ღონისძიებები. ამასთანავე, დანერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის რისკის შემცველი კვების პროდუქტების ლაბორატორიული შემოწმების გარეშე მიწოდების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია N8: მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა არსებული რისკების შეფასებით და მოქმედი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად, საქმიანობა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს ზოგადად თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება. ამასთანავე, შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით და განახორციელოს მონიტორინგი რეკომენდაციების განუხრელად შესრულებაზე.

რეკომენდაცია N9: ქობულეთის მუნიციპალიტეტმა წინამდებარე ანგარიშში ასახული 2017 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის შედეგების გათვალისწინებით გაცემულ რეკომენდაციებთან ერთად, შეიმუშაოს და წარმოადგინოს

სამოქმედო გეგმა, მუნიციპალიტეტის 2016 წლის პერიოდზე აუდიტის ანგარიშში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის. ასევე მუნიციპალიტეტმა გაატაროს სათანადო ღონისძიებები იმ პასუხიმგებელ პირთა მიმართ, რომელთაც ევალებოდათ აღნიშნულ დარღვევა-ნაკლოვანებებზე რეაგირება.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი წარიმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმ მიზნით, რათა მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობას.

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ამოწმებს ყველა ფინანსურ ოპერაციას. აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ არის საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტია. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას. ჩვენ მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

აუდიტის საგანი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები, ჯამში 35,054,910 ლარი.

გამოყენებული კრიტერიუმები

- საქართველოს ორგანბული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ";
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ";
- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი";
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ";
- საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ";
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ";
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის N21 დადგენილება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ";
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე".

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან

დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია – რეკომენდაციების შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტების საქმიანობის შესახებ

მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას. მერიას ხელმძღვანელობს მერი. მერია საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის", საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", მოქმედი კანონმდებლობის და დებულების შესაბამისად.

ცხრილი N1: მუნიციპალიტეტის 2017 წლის შემოსულობები (ლარი)

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	**2017 წლის დამტკიცებული გეგმა**	**2017 წლის დაზუსტებული გეგმა**	**2017 წლის საკასო შესრულება**
შემოსულობები	**32,827,553**	**34,548,516**	**33,506,559**
შემოსავლები	32,827,553	34,548,516	33,480,307
არაფინანსური აქტივების კლება	0,000	0,000	26,252
შემოსავლები	**32,827,553**	**34,548,516**	**33,480,307**
გადასახადები	5,050,000	5,050,000	4,824,791
გრანტები	25,634,300	27,355,263	26,155,292
სხვა შემოსავლები	2,143,253	2,143,253	2,500,224
არაფინანსური აქტივების კლება	0,000	0,000	26,252

შესრულების წლიური ანგარიშების მიხედვით, 2017 წელს ბიუჯეტის პროგრამების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა 35,054,910 ლარი შეადგინა.

ცხრილი N2: მუნიციპალიტეტის 2017 წლის ხარჯი, პროგრამების მიხედვით (ლარი)

კოდი პროგრამის	**დასახელება**	**გაწეული საკასო ხარჯი**
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	4,164,800
03 00	თავდაცვის ღონისძიებები	107,631

04 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	23,141,422
05 00	საგანმანათლებლო ღონისძიებები	4,031,122
06 00	სპორტული და კულტურული ღონისძიებები	2,427,611
07 00	სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებები	1,182,324
	ჯამი:	**35,054,910**

მუნიციპალიტეტის „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების" პროგრამა მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის გამართულ ფუნქციონირებას. პროგრამიდან ფინანსდება საკრებულოსა და მერიის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები.

ცხრილი N3: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს 2017 წლის საკასო ხარჯი (ლარი)

ხარჯების დასახელება	**2017 წელი**
შრომის ანაზღაურება	1,658,208
საქონელი და მომსახურება	848,795
პროცენტი	314,458
სოციალური უზრუნველყოფა	8,285
სხვა ხარჯები	3,479
არაფინანსური აქტივების ზრდა	324,979
ვალდებულებების კლება	1,006,596
ჯამი:	**4,164,800**

აუდიტის მიგნებები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები

კრიტერიუმი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის" შესაბამისად, პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა შედეგზეა ორიენტირებული, იგეგმება ის ინდიკატორები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია შედეგის გაზომვა. თითოეულ პროგრამაზე წარმოდგენილი უნდა იყოს[1] პროგრამული კლასიფიკაციის კოდი, პროგრამის დასახელება, პროგრამის აღწერა, პროგრამაში შემავალი ქვეპროგრამების და

[1] ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის N3 დანართის შესაბამისად.

ღონისძიებების აღწერა, პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო ან/და შუალედური შედეგები.

გარემოება: მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 6 პროგრამა:

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები
2. თავდაცვის ღონისძიებები
3. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია
4. საგანმანათლებლო ღონისძიებები
5. სპორტული და კულტურული ღონისძიებები
6. სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტის პროგრამებში ასახულია ქვეპროგრამები და პროგრამების განხორციელებაზე გადანაწილებული რესურსი, თუმცა სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის" შესაბამისად, კერძოდ, არ არის ასახული პროგრამის მიზნები, მოსალოდნელი საბოლოო ან/და შუალედური შედეგები და ინდიკატორები.

დასკვნა: მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით წარმოდგენილი პროგრამები არასათანადოდაა შედგენილი, არ მოიცავს პრიორიტეტების ფარგლებში განსაზღვრული პროგრამების მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებსა და შედეგების შეფასების ინდიკატორებს, შესაბამისად, არ ხდება განხორციელებული ღონისძიების შუალედური და საბოლოო შედეგების გაზომვა და პროგრამების ეფექტიანობის შეფასება.

რეკომენდაცია N1: მუნიციპალიტეტის მერიამ, საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი მართვის შეფასების მიზნით, პროგრამული ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს, პროგრამის ფარგლებში საბოლოო მიზნის მიღწევისათვის განხორციელებული აქტივობების, მიღწეული პროგრესისა და მიღებული საბოლოო შედეგის გაზომვა.

ინფრასტრუქტურული ღონისძიებები

კრიტერიუმი: ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე[2], კეთილმოწყობის და წყალსადენის სისტემის მოწყობის სამუშაოებზე, სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების პირობების მიხედვით, შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, რითაც დადასტურდება: შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა,

[2]NAT160004536; NAT160004005; NAT160003947; NAT160003681.

შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების ხარჯთაღრიცხვასთან შესაბამისობა და შესრულებული სამუშაოს ხარისხი. საერთო და ერთეულის ფასი[3] გამოსახული უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტრანსპორტირების ხარჯები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები. სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას, საწყისი სავარაუდო ფასის, ასევე ფაქტობრივი ხარჯების გამოთვლისას, გამოიყენება[4] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის N50 და 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილებები[5].

გარემოება 1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქუჩების კეთილმოწყობითი სამუშაოების მიმდინარეობისას, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში, მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმებით, საერთო ღირებულების შეუცვლელად, სათანადო დასაბუთების გარეშე, მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე არსებითად არის შეცვლილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები. რიგ შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ ინსპექტირების წინაშე დასმული შეკითხვა ინსპექტირების სფეროსთან დაკავშირებით არ იყო სრული. კერძოდ, ნაცვლად შეკითხვისა, დაედასტურებინა ექსპერტს: შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის რაოდენობრივი სიზუსტე, შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების ხარჯთაღრიცხვის მოცულობებთან შესაბამისობა და შესრულებული სამუშაოს ხარისხი, დასმულია მხოლოდ ერთი შეკითხვა: შესრულებული სამუშაოს აქტის, ფორმა N2-ის ინსპექტირების თაობაზე.

მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ინსპექტირების ანგარიშების საფუძველზე გადახდილია შესრულებული სამუშაოს ღირებულება, თუმცა წარმოდგენილი ანგარიშებით არ დასტურდება სამუშაოს ხარისხი და შესრულებაში მითითებული ფარული სამუშაოს მოცულობა. ანგარიშების მიხედვით, ექსპერტმა აზომვები ჩაატარა მხოლოდ ხილულ სამუშაოებზე, ხოლო ის სამუშაოები, რომლებიც განეკუთვნება ფარულ სამუშაოთა კატეგორიას და რომელთა ზუსტი მოცულობების დადგენა ინსპექტირების ჩატარების პერიოდისათვის ტექნიკურად შეუძლებელი იყო, ექსპერტმა გაითვალისწინა მერიის მიერ მიწოდებული ფარული სამუშაოს აქტების მიხედვით. აუდიტის პერიოდში მოპოვებული მტკიცებულებით კი ირკვევა, რომ ფარული სამუშაოს აქტებში ასახული

[3] NAT160003947; NAT160004291; NAT160004289.

[4] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 ბრძანება „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ შესახებ.

[5] „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე. განთავსების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“.

შესრულებული სამუშაოს მოცულობა და შესრულების დრო შეუსაბამობაშია სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულ დროსთან და მოცულობასთან.

ცხრილი N4: კეთილმოწყობით სამუშაოებზე გადახდილი თანხების შესახებ (ლარი)

N	ობიექტის დასახელება	მიმწოდებელი				შეცვლილი სამუშაოების სახეობა, მოცულობა და ღირებულება	ხარისხის დაუდასტურებლობის პირობებში გადახდილი თანხა	რაოდენობრივი სიზუსტის დადასტურების გარეშე გადახდილი თანხა
		სახელი	ხელშეკრულების N	ხელშეკრულების ღირებულება	გადახდილი თანხა			
1	გელაურის უბნის, ვაჟა -ფშაველას, პოპოვის და პუშკინის ქუჩები	ინდ. მეწარმე დავით სიჭინავა	N37	1,541,541	1,534,263	1,380,319	1,534,263	679,554
2	რუსთაველის ქუჩის ტროტუარები	შპს „ჯორჯიან სტოუნი“	N31	1,760,300	1,709,518	1,415,772	1,709,518	617,781
3	აღმაშენებლის გამზირიდან თამარ მეფის სანაპირომდე გადასასვლელები	შპს „ჯორჯიან სტოუნი“	N20	765,996	729,382	0	729,382	280,293
4	რუსთაველის მეორე შესახვევი	ფილიალი/წარმომადგენლობა „ანტ სტროი ლტდ 2016“	N21	767,550	736,903	673,538	0	287,956
	ჯამი:			**4,835,387**	**4,710,066**	**3,469,629**	**3,973,163**	**1,865,584**

ზემოაღნიშნული გარემოება ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოების პროექტის უხარისხოდ მომზადებაზე, ფარული სამუშაოების აქტების ფორმალურად შედგენაზე, პრეტენდენტთა შეზღუდვასა და საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურ ხარჯვაზე მიუთითებს.

გარემოება 2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობისა და წყალსადენის სისტემის მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით, სატენდერო წინადადებასა და შემდგომში ტენდერში გამარჯვებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში, ცალკეული სამუშაოების ერთეულის ფასი (სამუშაოს სახეობის გათვალისწინებით) მოიცავს შრომითი დანახარჯების, მანქანების, მასალების, ექსკავატორის, სხვა მანქანების, ავტოთვითმცლელის და ავტოამწის ხარჯებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხარჯთაღიცხვაში ასახულია ცალკეული სამუშაოს ერთეულის ფასი, რაოდენობა, სრული

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სამუშაოს შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებში (ფორმა N2), ხშირ შემთხვევაში ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს იდენტიფიცირების გარეშე, აგრეთვე საერთო შესრულებული სამუშაოს ჯამურ ღირებულებაზე დასაბუთების გარეშე პროცენტულად დამატებით დარიცხული და გადახდილია, მიმწოდებელზე ტრანსპორტის ხარჯი[6] – 100,557 ლარი და დროებითი შენობა - ნაგებობების ხარჯი – 13,433 ლარი. დარიცხულ ხარჯებთან დაკავშირებით, მერიამ წარმოადგინა საპროექტო ორგანიზაციის[7] განმარტება, სადაც გადახდილი თანხების საფუძვლად მითითებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის N50, 2014 წლის 14 იანვრის N52 და N55 დადგენილებები, თუმცა აღნიშნული დადგენილებები პროცენტული სახით ტრანსპორტის ხარჯების დამატებით დარიცხვას არ ითვალისწინებს.

ცხრილი N5: დამატებით დარიცხული თანხები (ლარი)

ობიექტის დასახელება	ხელშეკრულების მონაცემები			დამატებით დარიცხული	
	ნომერი და თარიღი	მიმწოდებელი	ფასი	ტრანსპორტის ხარჯი	დროებითი შენობა/ნაგებობების ხარჯი
აღმაშენებლის გამზირიდან თამარ მეფის სანაპირომდე გადასასვლელების კეთილმოწყობა	N20, 12.01.2017	შპს „ჯორჯიან სტოუნი“	729,383	12,480	0
სოფელ ჩაისუბანში, წყალსადენის სისტემის მე-2 ეტაპის მოწყობა	N66, 07.04.2017	შპს „უნივერსალ ჯორჯია 2008“	1,393,994	28,176	13,433
სოფელ ლეღვას წყალსადენის სისტემის მე-2 ეტაპის მოწყობა	N56, 10.03.2017	შპს „უნივერსალ ჯორჯია 2008“	1,115,998	22,792	0
კარიერის დასახლებაში, საკანალიზაციო სისტემის და მისი ელემენტების მე-3 ეტაპის მოწყობა	N98, 17.05.2017	შპს „უნივერსალ ჯორჯია 2008“	1,488,888	29,670	0
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვა	N126, 26.06.2017	შპს „უნივერსალი“	385,704	7,439	
ჯამი:				**100,557**	**13,433**

[6] რიგ შემთხვევაში, შესრულებული სამუშაოს ჯამურ ღირებულებაზე პროცენტულად (2%-3%) გაზრდილია ფასი, ხოლო რიგ შემთხვევაში დამატებულია: 300 ლარი, 500 ლარი, 1000 ლარი.
[7] შპს „ხობი 2005“.

დასკვნა: მუნიციპალიტეტის მიერ გახარჯულია საბიუჯეტო სახსრები იმ პირობებში, როდესაც სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული 4,835,387 ლარის სამუშაოებიდან შეიცვალა 3,469,629 ლარის სამუშაოები, 3,973,163 ლარის შესრულებული სამუშაოების ხარისხი არ არის შეფასებული, 1,865,584 ლარის ღირებულების ფარულ სამუშაოებზე კი არ არის დადგენილი მოცულობები, ხოლო სატრანსპორტო და დროებითი შენობა-ნაგებობისათვის გადახდილ 113,990 ლარზე არ არის წარმოდგენილი ხარჯის გაწევის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები.

რეკომენდაცია N2: მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ დაადგინოს მიმწოდებლის მიერ შეუსრულებელი სახელშეკრულებო ვალდებულების პირობებში სამუშაოს ჩაბარების გამომწვევი მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ღონისძიებები, სადაც განსაზღვრული იქნება შესაბამისი პასუხისმგებელი პირები. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განახორციელოს ფარული სამუშაოების ფაქტობრივად შესრულების მდგომარეობის დადგენა და უზუსტობების არსებობის პირობებში, უზრუნველყოს ზედმეტად გადახდილი თანხების ბიუჯეტში დაბრუნება. ამასთანავე, შეიმუშაოს და დანერგოს ქმედითი შიდა კონტროლის მექანიზმები, რათა დროულად და სრულად იქნეს გამოვლენილი ხარვეზები და არ დაუშვას შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის დაუდასტურებლობის პირობებში, სამუშაოს მიღება-ჩაბარება და თანხების ანაზღაურება.

ქონების სარგებლობაში გაცემა

კრიტერიუმი: ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხორციელდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ. არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თავისი შინაარსიდან გამომდინარე, აუქციონის ფორმით, განსაკუთრებით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, ქონების სასყიდლით სარგებლობაში გაცემა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ფართო ჩართულობას, მეტ გამჭვირვალობას, მაღალ კონკურენციას და შესაბამისად, მეტ საბიუჯეტო შემოსავალს. განსხვავებით ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გაცემისგან, როდესაც გადაწყვეტილების მიღება სუბიექტური ფაქტორებითაა განპირობებული და გამორიცხავს კონკურენციის შესაძლებლობას. რაციონალურობის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა ქონების იჯარით გადაცემა განახორციელოს ელექტრონული აუქციონის ფორმით, რადგან განკარგვის ასეთი ფორმა დაინტერესებული პირებისგან მოითხოვს ნაკლებ დანახარჯს და ოპტიმალურია დროის თვალსაზრისით.

გარემოება: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წელს გაფორმებულია უძრავი ქონების იჯარით გაცემასთან დაკავშირებით 242 ხელშეკრულება, მათ შორის: 47 შემთხვევაში – საჯარო აუქციონის[8], ხოლო 195 შემთხვევაში – პირდაპირი განკარგვის[9] წესით. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო აუქციონის ფორმით ქონების სარგებლობაში გადაცემის დროს, არც ერთ შემთხვევაში ვაჭრობა არ გამართულა, რაც ადასტურებს საჯარო აუქციონის ფორმის არაეფექტიანობას.

ქონების სეზონური საიჯარო ქირის ოდენობა განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 12 აპრილის N42 განკარგულების საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა 2015 წლის მაისში მომზადებულ უძრავი ქონების ღირებულების შეფასების დასკვნებს[10]. წარმოდგენილი დასკვნები ზედაპირულია, არარელევანტური პერიოდისაა და მასზე დაყრდნობა საბაზრო ფასების ცვლილების გაუთვალისწინებლად მიზანშეუწონელია. აღნიშნული ირიბად დადასტურებულია თვით საკრებულოს განკარგულებითაც, რადგან შემფასებლის მიერ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე განსაზღვრული ფასები, საკრებულოს მიერ გაზრდილია პლაჟის შემთხვევაში – 4-ჯერ, სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე 10 კვ. მეტრამდე – 7-ჯერ, ხოლო 10 კვ.მეტრზე მეტი ფართობის შემთხვევაში – 1.4-ჯერ.

2016-2018 წლების ანალიზით ირკვევა, რომ მნიშვნელოვნად არ იცვლება როგორც მოიჯარეები, ასევე საიჯარო ქირის ოდენობა. კერძოდ, 117 შემთხვევაში წლების მიხედვით ერთი და იგივე მოიჯარეა. ასევე რიგ შემთხვევაში, ყოფილი მოიჯარე შეცვლილია მისივე ოჯახის წევრით ან მასთან სხვაგვარად დაკავშირებული პირით[11]. შექმნილ გარემოებებში, მუნიციპალიტეტის მერია არ მსჯელობს განკარგვის უფრო ეფექტიანი საშუალებების გამოყენებაზე (მაგალითად, განკარგვაზე ელექტრონული აუქციონის ფორმით), მით უმეტეს მუნიციპალიტეტს ჰქონდა აუქციონის გამოცხადებისა და ჩატარებისთვის საკმარისი დრო. აღსანიშნავია ისიც, რომ სეზონის დასრულების/ საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ, 2017 წელს, ჩვენთვის ცნობილ 32 შემთხვევაში, არ განხორციელდა სახელშეკრულებო მოთხოვნით განსაზღვრულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებული დროებითი შენობა-ნაგებობების დემონტაჟი. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ არ არის გატარებული ეფექტიანი საზედამხედველო ღონისძიებები, რაც უნდა

[8] საიჯარო ქირის ოდენობამ და მიღებულმა საბიუჯეტო შემოსულობამ შეადგინა 24,2017 ლარი.

[9] საიჯარო ქირის ოდენობამ შეადგინა 195,459.9 ლარი, ხოლო 2017 წელს მიღებულმა საბიუჯეტო შემოსულობამ – 176,554.1 ლარი.

[10] აუდიტორულ კომპანია „ინტელექტ აუდიტის" დასკვნები უძრავი ქონების ღირებულების შეფასების შესახებ: N29, 06/05/2015; N30, 07/05/2015.

[11] არაოფიციალური ქვეიჯარით გაცემის შედეგად.

გამოიხატოს ობიექტის იძულებითი დემონტაჟითა და არაკეთილსინდისიერ მოიჯარეზე ჯარიმის დაკისრებით[12]. მიწის ნაკვეთზე მესამე პირების კუთვნილი შენობა-ნაგებობების არსებობა, დამატებითი შემზღუდველი გარემოებაა სხვა შესაძლო დაინტერესებული პირებისათვის.

აუდიტის ჯგუფის მიერ, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლების მონაწილეობით, განხორციელდა ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლში იჯარით გაცემული 73 ერთეული მიწის ნაკვეთის დათვალიერება, საიდანაც 23 შემთხვევაში, ფაქტობრივად დაკავებული მიწის ნაკვეთის ფართობი მნიშვნელოვნად აღემატება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ოდენობას. აღნიშნული შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ მერიის შესაბამისი პასუხისმგებელი პირები არ ახორციელებდნენ იჯარით გაცემული ფართობების საკონტროლო აზომვებს და შესაბამისად არ რეაგირებდნენ სამართლებლივი კუთხით. შედარებისთვის: აღნიშნულ 23 შემთხვევაში, ხელშეკრულებების შესაბამისად, იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი შეადგენს 2,585 კვ. მეტრს, ხოლო ფაქტობრივად, მოიჯარეების სარგებლობაშია 1,714 კვ. მეტრით მეტი – 4,299 კვ. მეტრი. იჯარით გაცემულ ფართობზე საიჯარო ქირა ხელშეკრულებების შესაბამისად შეადგენს 39,571 ლარს, ხოლო ხელშეკრულებების, ფაქტობრივად სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთების ფართობის მიხედვით გაფორმების შემთხვევაში, საიჯარო ქირა იქნებოდა არანაკლებ 59,256 ლარი (19,685 ლარით მეტი).

აღსანიშნავია, რომ რიგი შეუსაბამობა იმდენად არსებითია, ნაკლებად სავარაუდოა, ინფორმირებული არ ყოფილიყო მუნიციპალიტეტის მერია, თუმცა რეაგირება არ მომხდარა. შესაბამისად, არ გამოუყენებიათ მიწის ნაკვეთის უნებართვოდ სარგებლობის გამო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული დაჯარიმების მექანიზმი[13], რაც შეადგენს არანაკლებ 23,000 ლარს[14].

დათვალიერების შედეგად აგრეთვე იდენტიფიცირებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 11 მიწის ნაკვეთი (საერთო ფართობი – 978.5 კვ.მ), რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრებაა, მასზე განთავსებულია სხვადასხვა კომერციული ფართები, თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები. ამ

[12] მოიჯარე დაჯარიმებულია მხოლოდ სამ შენთხვევაში: ერთ შემთხვევაში ჯარიმის ნაწილში ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციული აქტი მუნიციპალიტეტის მერის მიერ ძალადკარგულად იქნა ცნობილი, ხოლო ორ შემთხვევაში – დადგენილება მიქცეულია აღსასრულებლად.

[13] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55[2] მუხლის თანახმად, ჯარიმა თითოეულ შემთხვევაზე შეადგენს ათასიდან ორი ათას ლარამდე, ხოლო განმეორების შემთხვევაში – სამი ათასიდან სამი ათას ხუთას ლარამდე.

[14] არანაკლებ 1000 ლარი X 23 შემთხვევა.

შემთხვევაში, ბიუჯეტის მიერ მიუღებელი შემოსავალი საიჯარო ქირის სახით, საკრებულოს მიერ განსაზღვრული ტარიფის გათვალისწინებით, შეადგენს 13,444 ლარს, ხოლო ჯარიმის სახით – არანაკლებ, 11,000 ლარს[15].

გარდა აღნიშნული მიწის ნაკვეთებისა, დათვალიერების მომენტისთვის მუნიციპალიტეტის მერიის დამოწმებული ინფორმაციით, კიდევ ორ მიწის ნაკვეთზე[16] არ ყოფილა გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებები. შესაბამისად, გაფორმდა დათვალიერების ოქმი, რომელსაც ასევე ხელი მოაწერეს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებმა, თუმცა მოგვიანებით მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებულ იქნა 2018 წლის 31 აგვისტოს თარიღით ხელმოწერილი საიჯარო ხელშეკრულება[17]. იმის გათვალისწინებით, რომ მერია არ აწარმოებს ხელშეკრულებების აღრიცხვას, ზემოაღნიშნული იჯარები სეზონურია, ხოლო 31 აგვისტოს სეზონი პრაქტიკულად დასრულებულია და არც საიჯარო ქირაა აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე გადახდილი. ხელშეკრულების შესაბამის დროში გაფორმების რეალობა რისკის შემცველია. ამ შემთხვევაში, 2018 წელს მიუღებელი საბიუჯეტო შემოსავალი მხოლოდ საიჯარო ქირისა და ჯარიმის სახით შეადგენს, არანაკლებ – 4,700 ლარს.

სურათი N1: იჯარის ხელშეკრულების გარეშე განთავსებული ობიექტები

[15] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ჯარიმა თითოეულ შემთხვევაზე განსაზღვრულია 1,000-დან 2,000 ლარამდე, ხოლო განმეორების შემთხვევაში – 3,000-დან 3,500 ლარამდე. შესაბამისად, არანაკლებ 1000 ლარი X 11 შემთხვევა.

[16] ფაქტობრივად სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთი 225 კვ. მ.

[17] ხელშეკრულება N01-45/251, 31/08/2018; ხელშეკრულება N01-45/297, 31/08/2018. ხელშეკრულებების რეგისტრაცია მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოების მონაცემებში არ ხორციელდება.

დასკვნა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ უძრავი ქონების სარგებლობაში გაცემა შესაძლოა შეიცავდეს ჯანსაღი კონკურენციის შეზღუდვისა და კონკრეტული პირების ინტერესებზე მისადაგების რისკებს. კერძოდ, მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა, გადაწყვეტილებათა მიღების დროს, არ შეაფასეს ელექტრონული აუქციონის ფორმით ქონების იჯარით სარგებლობაში გაცემის უპირატესობები და ქონების გაცემა განახორციელეს პირდაპირი განკარგვის წესით, უკონკურენტო, გაუმჭვირვალე გარემოში. გარდა ამისა, შერჩევითი დათვალიერების საფუძველზე ფიქსირდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უნებართვო სარგებლობის შემთხვევები, რომელზეც რეაგირება არ არის განხორციელებული. ამრიგად, არასათანადო კონტროლისა და მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების გამო, ადგილობრივ ბიუჯეტს მიადგა, მინიმუმ, 71,829 ლარის ზიანი.

რეკომენდაცია N3: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოიკვლიოს ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სარგებლობაში გაცემისა და ქონების უნებართვო ექსპლუატაციის მიზეზები, მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები. ასევე შეიმუშაოს სათანადო კონტროლის მექანიზმები, რაც მიმართული იქნება მიწის ნაკვეთის უნებართვო ექსპლუატაციის აღსაკვეთად, ხოლო დარღვევის შემთხვევაში – უზრუნველყოფს ეფექტიან რეაგირებას. ამასთანავე, შემდგომში ქონების სარგებლობაში გადაცემა მაქსიმალურად უზრუნველყოს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

გარე განათების ტექნიკური მომსახურება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების[18] გარე განათების მომსახურების ტექნიკური დოკუმენტაციით, შესყიდვის ობიექტია 227 ადგილზე (უბანი/ქუჩა) მდებარე 4,980 ერთეული გარე განათების წერტების მოვლა-შენახვა, მათ შორის, ყოველდღიურად უნდა განხორციელდეს სადენების შეერთების შემოწმება, საჰაერო ხაზების შემოწმება და გამანაწილებელ ყუთებში დამონტაჟებული მართვის პულტების შემოწმება. ხელშეკრულების პირობებით, მომსახურების შემოწმება უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, მომსახურების გაწევის ადგილზე, ხოლო მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების

[18] NAT160003617.

მოცულობის აქტის (ფორმა N2 და ფორმა N3) და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

გარემოება: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების გარე განათების ტექნიკურ მომსახურებაზე ტენდერში მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი – შპს „განათება", რომელიც წინა წლებშიც[19] მუნიციპალიტეტს უსრულებდა ანალოგიურ მომსახურებას, გამოვლინდა გამარჯვებულად და 2016 წლის 30 დეკემბერს გაფორმებულია N8 ხელშეკრულება. მომსახურების ღირებულება შეადგენს 289,381 ლარს. მხარეებს შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის და გაწეული მომსახურების მოცულობის აქტის (ფორმა N2 და ფორმა N3) მიხედვით, მიმწოდებლის მიერ ნაჩვენებია შესრულებაში 106,332 ლარის ღირებულების მასალების ხარჯვა (დროსელი – 952 ცალი, 34,975 ლარი; ნათურა – 4,061 ცალი, 58,451 ლარი; კაბელი – 6,498 გრძ. მ, 7,564 ლარი; გამთიშველი – 68 ცალი, 852 ლარი; სანათი – 146 ცალი, 4,170 ლარი), ჯამში გადახდილია 222,880 ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული 4,980 ერთეული რაოდენობის წერტზე ყოველდღიურად სადენების შეერთების შემოწმების, საჰაერო ხაზების შემოწმების და გამანაწილებელ ყუთებში დამონტაჟებული მართვის პულტების შემოწმების მომსახურება მიღება-ჩაბარების აქტით (ფორმა N2) არ დასტურდება. ცალკეულ პერიოდში, უშუალოდ რომელ უბანზე და წერტზე განხორციელდა მომსახურება იდენტიფიცირებული არ არის. ერთ დღეზე მეტი ვადით გაუნათებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება ჯარიმა თითოეული წერტილისათვის 20 ლარის ოდენობით, თუმცა 2017 წლის სრულ პერიოდზე გაუნათებლობის[20] ერთი ფაქტიც კი არ არის დაფიქსირებული[21] , აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მერიის მიერ ზემოაღნიშნული მომსახურებისათვის იგივე სატენდერო პირობებით, 2018 წელს განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვაში გამარჯვებულად გამოვლინდა სხვა პირი, შპს „მეოხი". აუდიტის ჯგუფის მიერ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სხვადასხვა დროს განხორციელდა 2,000-მდე განათების წერტის ფიზიკური დათვალიერება, სადაც აღმოჩნდა ერთი და იმავე 103-მდე წერტის გაუნათებლობის ფაქტი, თუმცა მერიის მიერ ჯარიმის დაკისრება არ განხორციელებულა. ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული საჯარიმო პირობა ფორმალურ ხასიათს ატარებს, არ გამოიყენება და შედეგად, მუნიციპალიტეტი კარგავს დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას.

დასკვნა: გარე განათების მომსახურებასთან დაკავშირებით, სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული განათების წერტების რაოდენობა არ შეესაბამება

[19] ხელშეკრულებები: N43, 17.02.2015; N14, 06.01.2016.
[20] სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზით.
[21] მუნიციპალიტეტის საქმისწარმოების მონაცემები.

საბუღალტრო ჩანაწერებს, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების სრულყოფილად შესრულების და გაწეული მომსახურების ადგილმდებარეობის იდენტიფიცირების გარეშე მიმწოდებელზე გადახდილია 222,880 ლარი, სახელმწიფო შესყიდვა განხორციელებულია უკონკურენტოდ, ერთი პრეტენდენტის პირობებში, რომელიც წინა პერიოდშიც ასრულებდა აღნიშნულ მომსახურებას; წარმოდგენილი დოკუმენტებით, სახელშეკრულებო პერიოდში არც ერთ შემთხვევაში არ ფიქსირდება გაუნათებლობის ფაქტი და მიმწოდებელზე საჯარიმო სანქციის დაკისრება, რაც წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკებს და შესაძლოა კონკრეტული მიმწოდებლის ინტერესების სასარგებლოდ იყოს მიმართული.

რეკომენდაცია N4: მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს გარე განათების მომსახურებას დაქვემდებარებული წერტების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა და ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვა, შეიმუშაოს სტრატეგია, განათების მომსახურებაზე სათანადო კონტროლის მექანიზმების დაწესების შესახებ, დაადგინოს შეუსრულებელი მოსახურების გამომწვევი მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირის (პირების) მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაცია

კრიტერიუმი: მოქმედი რეგულაციებით [22] , შემსყიდველმა შესყიდვის პროცესს ორგანიზება ისე უნდა გაუწიოს, რომ თავიდან აიცილოს უხარისხო ან/და დაბალი ხარისხის ობიექტის შეძენა. ინფრასტრუქტურული სამუშაოების ეფექტიანად განხორციელების აუცილებელი პირობაა, ხელშეკრულების მოთხოვნების დაცვაზე სათანადო კონტროლის მექანიზმების არსებობა. ამასთანავე, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის პროცესს ორგანიზება გაუწიოს იმგვარად, რომ განხორციელებული პროექტებისა და პროგრამების შედეგად მიღებული მატერიალური სიკეთე და დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი თანაბრად აისახოს მოსახლეობის უმრავლესობაზე და დააკმაყოფილოს მათი კონკრეტული საჭიროებები. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამუშაოს შესყიდვისას სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს შესასრულებელი სამუშაოს გონივრულ საგარანტიო ვადას.

გარემოება: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, სამუშაოთა შესრულების პროცესში გამოყენებული მასალებისა და

[22] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მითითებები და რეკომენდაციები.

მოწყობილობების ტიპი და ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა, ფერი და სხვ.) თანხმდება შემსყიდველთან. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამუშაო.

- ✓ 2017 წლის 27 თებერვალს, შპს „დამბასთან" გაფორმდა 654,720 ლარზე ხელშეკრულება[23] საბავშვო ბაღის[24] მშენებლობასთან დაკავშირებით. სამუშაოების მიმღები კომისიის მიერ დადასტურებულია სამუშაოების შესრულება, თუმცა შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით ინსპექტირების ორგანოს[25] მიერ წარმოდგენილი ანგარიშით ირკვევა, რომ სრულყოფილად არ არის შესრულებული ვენტილაციის სამუშაოები[26]. აღნიშნულის მიუხედავად, მუნიციპალიტეტს მიმწოდებელისათვის არ მიუმართავს სამუშაოების პროექტის შესაბამისად შესრულებასთან დაკავშირებით. აუდიტის ჯგუფმა, მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელ პირებთან ერთად, დაათვალიერა დასრულებული მშენებლობა, სადაც აღმოჩნდა, რომ შენობის შიდა კედლები დაზიანებულია, გააჩნია ბზარები და შეკეთებას საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულია ხუთწლიანი საგარანტიო პერიოდი, მუნიციპალიტეტს მიმწოდებლის მიმართ არ დაუყენებია მოთხოვნა არსებული დაზიანებების გამოსასწორებლად. შედეგად, ამ მიმართულებით დანერგილმა კონტროლის მექანიზმებმა ვერ უზრუნველყო არასათანადოდ შესრულებულ სამუშაოებზე სათანადო რეაგირების განხორციელება, რაც შესაძლოა, საგარანტიო ვადის გასვლის შემდგომ, მუნიციპალიტეტის მიერ დამატებითი ხარჯების გაწევის საფუძველი გახდეს.

სურათი N2: სოფელ აჭყვისთავის საბავშვო ბაღი

[23] N52, 27.02.2017, NAT170000170.

[24] სოფელ აჭყვისთავის საბავშვო ბაღი.

[25] შპს „დამოუკიდებელი საინჟინრო ექსპერტიზა", ანგარიში N IR-18-01-A004.

[26] შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულება დღგ-ის ჩათვლით შეადგენს 1,459 ლარს.

✓ 2017 წლის 27 მარტს, შპს „ინტერ პლიუსთან“ გაფორმდა 377,773 ლარის ხელშეკრულება[27] საბავშვო ბაღის[28] მშენებლობასთან დაკავშირებით. სამუშაოების მიმღები კომისიის მიერ დადასტურებულია სამუშაოების სრულყოფილად შესრულება. აუდიტის ჯგუფმა, მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელ პირებთან ერთად, დაათვალიერა დასრულებული მშენებლობის ფაქტობრივი მდგომარეობა, სადაც აღმოჩნდა, რომ მაღალხარისხიანი სამღებრო და ბათქაშის სამუშაოების მოთხოვნის მიუხედავად, დაზიანებულია შენობის კედლები და ფანჯრის დაფები, რომლებიც ხელახალ შეკეთებას საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო ხუთწლიანი საგარანტიო პერიოდი, მუნიციპალიტეტს მიმწოდებლის მიმართ არ დაუყენებია მოთხოვნა არსებული დაზიანებების გამოსასწორებლად. შედეგად, ამ მიმართულებით დანერგილმა კონტროლის მექანიზმებმა ვერ უზრუნველყო არასათანადოდ შესრულებულ სამუშაოებზე სათანადო რეაგირების განხორციელება, რაც შესაძლოა საგარანტიო ვადის გასვლის შემდგომ მუნიციპალიტეტის მიერ დამატებითი ხარჯების გაწევის საფუძველი გახდეს.

სურათი N3: სოფელ ჩაისუბნის საბავშვო ბაღი

დასკვნა: ქობულეთის მუნიციპალიტეტმა მშენებლობის დასრულების შემდეგ პერიოდში არ განახორციელა არსებული ხარვეზების დროული გამოვლენა და სათანადო რეაგირება. შედეგად, ინფრასტრუქტურული პროექტები უხარისხოდაა შესრულებული. ხელშეკრულებით განსაზღვრული საგარანტიო ვადების არსებობის მიუხედავად, მერიის

[27] N57, 27.03.2017, NAT170000611.
[28] სოფელ ჩაისუბნის საბავშვო ბაღი.

შესაბამის პასუხისმგებელ პირებს არ მიუმართავთ მიმწოდებლისთვის უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსწორების მოთხოვნით, რის შედეგად შესაძლოა დადგეს მუნიციპალიტეტის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის საჭიროება.

რეკომენდაცია N5: სამუშაოების შესყიდვისას დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მშენებლობის პროცესის სისტემატური მონიტორინგის საშუალებით, დროულად და სრულად გამოავლენს და აღმოფხვრის ხარვეზებს, რაც მთლიანად პროექტის წარმატებით განხორციელებას, შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების შეუფერხებელ მიწოდებას უზრუნველყოფს. შესწავლილ იქნეს სამუშაოთა უხარისხოდ შესრულებისა და საგარანტიო ვადებში მათი აღმოფხვრის მოთხოვნის, ხელშეკრულებებით მინიჭებული უფლების გამოუყენებლობის ფაქტები და არაობიექტური გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი პირების მიმართ გატარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამასთანავე, შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადებში მუნიციპალიტეტის მერიამ მიმართოს შესაბამის პირებს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსწორების მოთხოვნით.

საკრებულოს წევრების ხარჯები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის საქმიანობა. კანონმდებლობა ითვალისწინებს საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურებას. კერძოდ, საკრებულოს კომისიებში სამუშაო ჯგუფების სხდომებში მონაწილეობისათვის, ამომრჩეველთან შეხვედრებისათვის, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად გაწეულ ხარჯებს. მერიის მიერ აღნიშნული ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი[29], რომელშიც აღინიშნება დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება,

[29] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლი.

დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხიმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.

გარემოება: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აგვისტოს N15 დადგენილების [30] მიხედვით, საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ამომრჩევლებთან შესახვედრად, საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამსახურებრივი დავალებების შესასრულებლად, საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრა 375 ლარით. აღნიშნული ხარჯების სახით, ჯამში 2017 წელს გაცემულია 101,006 ლარი, რაზეც არ არის წარმოდგენილი ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები.

დასკვნა: ქობულეთის მუნიციპალიტეტეტმა 2017 წელს საკრებულოს არათანამდებობის პირებზე, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად, დოკუმენტური დასაბუთების გარეშე ჯამში გასცა 101,006 ლარი, რითაც დარღვეულია მოქმედი კანონის მოთხოვნები.

რეკომენდაცია N6: მუნიციპალიტეტმა არ დაუშვას ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრის საქმიანობის შესახებ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

კვების პროდუქტების შესყიდვა

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს თანაბარი კონკურენციის პირობებში შესაბამისი ხარისხისა და სტანდარტის საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვას. ამასთანავე, შესასყიდი საქონლის სათანადო ხარისხის დაცვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საკითხი ეხება სკოლამდელ აღზრდას. სახელმწიფო, დადგენილი რეგულაციებით, ქმნის აუცილებელ პირობებს ბავშვების ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად.

[30] „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

გარემოება: ა(ა)იპ – ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ განხორციელებული, საქონლის და ქათმის ხორცის სახელმწიფო შესყიდვებში, სისტემატური ხასიათი აქვს სატენდერო ვალდებულებების დაუცველობას[31]. კერძოდ, ტექნიკური დავალების თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია თვეში ერთხელ წარმოადგინოს საქონლის/ქათმის ხორცის მიკრობიოლოგიური კვლევის შესახებ ინფორმაცია (აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ გაცემული გამოცდის ოქმი)[32]. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ტენდერებში უკონკურენციოდ გამარჯვებულ კომპანიას – შპს „ელენიკოს", ა(ა)იპ – ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებისთვის მიწოდებული აქვს 182,486 ლარის ღირებულების 11,477 კგ საქონლის ხორცი და 4,982 კგ ქათმის ხორცი, თუმცა არც ერთ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი ხორცის მიკრობიოლოგიური კვლევის შესახებ ინფორმაცია, რაც დაადასტურებდა მიწოდებული პროდუქტის ხარისხს. აქვე საყურადღებოა, რომ აღნიშნული კვლევის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა დამატებით დროსა და ხარჯებთანაა დაკავშირებული.

დასკვნა: საქონლის და ქათმის ხორცის, როგორც რისკის შემცველი კვების პროდუქტის სათანადო ლაბორატორიული შემოწმების გარეშე მიწოდება წარმოშობს საქონლის ხარისხისა და გადახდილ ფასთან შესაბამისობის რისკებს.

რეკომენდაცია N7: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ, საბავშვო ბაღების გაერთიანებასთან ერთად, გამოიკვლიოს ხორცპროდუქტების სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში არსებული ნაკლოვანებები, განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და გაატაროს ქმედითი ღონისძიებები. ამასთანავე, დანერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის რისკის შემცველი კვების პროდუქტების ლაბორატორიული შემოწმების გარეშე მიწოდების შესაძლებლობას.

სხვა საკითხთა აბზაცი

შიდა აუდიტი

კრიტერიუმი: „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, შიდა აუდიტი ეხმარება დაწესებულებას მიზნების მიღწევაში, რაც დაწესებულების წინაშე არსებული რისკების მართვის ხარისხის, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის, საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან

[31] SPA160032687; SPA160032688.

[32] ტექნიკური დავალების 1.2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი.

შესაბამისობის შეფასებასა და დაწესებულების საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, რეკომენდაციების შემუშავებაში გამოიხატება. შიდა აუდიტის სუბიექტის შესწავლისა და ანალიზის საგანი შესაძლებელია იყოს დაწესებულების სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესი და საქმიანობის სფერო, რომლის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების დახმარებით, ორგანიზაციამ უნდა შეძლოს ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა, რომლითაც შესაძლებელი იქნება ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოჩენა, თაღლითობისა და შეცდომების გამოვლენა და პრევენცია.

გარემოება: ქობულეთის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა, 2017 წლებში დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, მერიის სტრუქტურულ ერთეულებში ჩაატარა სულ 4 აუდიტი. ჩატარებული აუდიტები მიზნად ისახავდა საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ აუდიტორული დასკვნის შედგენას, რეკომენდაციების შემუშავებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას.

შიდა აუდიტის მიერ შედგენილ აუდიტორულ დასკვნებში ასახული მიგნებების შესაბამისად გაცემულია რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაზე არ ხდება სათანადო რეაგირება და არ ხორციელდება მონიტორინგი, რაც მუნიციპალიტეტისათვის რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

რეკომენდაცია N8: მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა, არსებული რისკების შეფასებით და მოქმედი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად, საქმიანობა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს ზოგადად თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება. ამასთანავე, შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით და განახორციელოს მონიტორინგი რეკომენდაციების განუხრელად შესრულებაზე.

წინა აუდიტის დროს გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირება

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ქობულეთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს ჩაატარა 2016 წლის ფინანსური აუდიტი. აუდიტის ანგარიშში დაფიქსირდა სხვადასხვა არსებითი ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანება, რომელთა გამოსასწორებლად გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, შეუსრულებელია რიგი რეკომენდაციები, კერძოდ:

✓ არ განხორციელებულა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების დაზიანების გამომწვევი მიზეზების შესწავლა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების გამოვლენისა და ზიანის ანაზღაურების მიზნით;

✓ არ გატარებულა ღონისძიებები, ა(ა)იპ – ქობულეთის სანდასუფთავების ავტოსატრანსპორტო და სპეცტექნიკის დაზიანების და საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით;

✓ მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრებისათვის ხარჯები ანაზღაურებულია კვლავ ხარჯების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე.

რეკომენდაცია N9: ქობულეთის მუნიციპალიტეტმა წინამდებარე ანგარიშში ასახული 2017 წლის ბიუჯეტით გათვალიწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის შედეგების გათვალისწინებით, გაცემულ რეკომენდაციებთან ერთად შეიმუშაოს და წარმოადგინოს სამოქმედო გეგმა, მუნიციპალიტეტის 2016 წლის პერიოდზე აუდიტის ანგარიშში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის. ასევე გაატაროს სათანადო ღონისძიებები იმ პასუხიმგებელი პირების მიმართ, რომელთაც ევალებოდათ აღნიშნულ დარღვევა-ნაკლოვანებებზე რეაგირება.

აუდიტორთა ხელმოწერა სახელი, გვარი	**ხელმოწერა**
ნადიმ ბოლქვაძე მთავარი აუდიტორი	
ჰენრი სანიკიძე წამყვანი აუდიტორი	

24 დეკემბერი, 2018 წელი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38
SAO.GE